საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბრძანება № 01-08/119

28 თებერვალი, 2023 წელი                                                                                    ქ. ბათუმი

*,, 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 16 თებერვლის №01-08/51 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ*

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის №01-02/16 ბრძანების, კრედიტების აღიარების შესახებ საფაკულტეტო კომისიის დასკვნის, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 2023 წლის 23 თებერვლის MES 9 23 0000216091 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 16 თებერვლის №01-08/51 ბრძანების N1 დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტ **ზურაბ ბოლქვაძეს** საგანმანათლებლო პროგრამად ნაცვლად **,,ბიზნესის ადმინისტრირების“** მიეთითოს **,,ეკონომიკა’’** (მე-8 გრაფა);

ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტს (მე-17 გრაფა) სახელის და გვარის **,,ბაჩანა ბოლქვაძეს’’** ნაცვლად მიეთითოს **,,ბაჩა ბოლქვაძე’’**;

გ) ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტ **ჯემალ ბერიძის ნაწილში** (25-ე გრაფა) მე-2 სემესტრის ნაცვლად მიეთითოს მე-4 სემესტრი,

| N | სტუდენტის სახელი და გვარი | სტუდენტის პირადი ნომერი | აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური | აღიარებული კრედიტი | პირველადი საგანმანათლებლო ერთეული (ფაკულტეტი) | მიმ. საგანმანათლებლო ერთეული (ფაკულტეტი) | საგანმანათლებლო პროგრამა (მობილობის შემდეგ) | პირველადი საგანმანათლებლო პროგრამა (მობილობის შემდეგ) | სემესტრი | სწავლის წლიური საფასური (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | ზურაბ ბოლქვაძე | | ბაკალავრიატი | 28 | ტექნოლოგიური | მშენებლობა | ეკონომიკისა და ბიზნესის | ეკონომიკა | II | 2250 |
| 17 | ბაჩა ბოლქვაძე | | ბაკალავრიატი | 80 | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის | ეკოლოგია | ეკონომიკისა და ბიზნესის | ბიზნესის ადმინისტრირების | IV | 2250 |
| 25 | ჯემალ ბერიძე | | ბაკალავრიატი | 54 | ტურიზმი | ტურიზმი | ეკონომიკისა და ბიზნესის | ბიზნესის ადმინისტრირება | IV | 2250 |

2. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში და წარდგენილ იქნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში, სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს ბრძანებაში აღნიშნულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

4. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტს-სტუდენტების პირად საქმეში ასახვის მიზნით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

5. . ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში( ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში